განმარტებითი ბარათი

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონის, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სერგიეთში. თბილისიდან მარტვილის მუნიცილიპალიტეტი მდებარეობს 270კმ მანძილზე, ხოლო სოფელ სერგიეთი ადმინისტრაციული ცენტრიდან დაშორებულია 3.8 კმ მანძილზე. მარტვიულის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორია ზღვის დონიდან 60 -- 450 მეტრზე სიმაღლეზე მდებარეობს.

მარტვილის საფეხბურთო სკოლის მიზანია რეგიონში ბავშვთა და მასობრივი ფეხბურთის განვითარება, რომელსაც საფეხბურთო სკოლა დასახული პრიორიტეტების შესაბამისად მრავალი წელია მიზანმიმართულად ანვითარებს. სხვა დასახული პრიორიტეტებთან ერთად სკოლისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო ინფრასტრუქტურული პრობლემის მოგვარება.

მარტვილის მუნიციპალიტეტმა სოფ: სერგიეთში საფეხბურთო სკოლისათვის 2013წელს დაირეგისტრირა არსებული შენობა ნაგებობა, რადგან ეს შენობა და მის გარშემო არსებული ფართი იძლეოდა საშუალებას რომ რეაბილიტაციის შემდეგა აქ განთავსებულიყო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინფრასტრუქტყურის სტანდარტების შესაბამისი საფეხბურთო აკადემია.

აღნიშნულის განხორციელება ეტაპობრივად 2015 წლიდან დაიწყო, როდესაც აგდილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 183.000 ლარი და პირველ ეტაპზე შესრულდა გადახურვის სამუშაოები, 2016 წელს აღნიშნული პროექტი მარტვილის მუნიციპალიტეტმა წარადგინა ,,მუნიციპალური განვითარების ფონდში“ და აღნიშნული ორგანიზაციის დახმარებით ეს პროექტი ,,ევროპის საინვესტიციო ბანკმა დააფინანსა“ რომლის ღირებულება შეადგენს 728.934 ლარს

მარტვილის საფეხბურთო სკოლამ ამ შენობის მიმდებარედ არსებული მიწის ფართები, კერძო მესაკუთრეებიდან შეიძინა, რადგან ამ ტერიტორიაზე პირველ ეტაპზე მოეწყოს 1 სტანდარტული მოედნი, რომელმაც სრულად უნდა დააკმაყოფილოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინფრასტრუქტურის სტანდარტები.

მოედნის ინფრასტრუქტურის სტანდარტები უპირველესად ითვალისწინებს უსაფრთხოების ზომების დაცვას, რაც მდგომარეობს შემდეგში. სტანდარტული მოედანი ზომით 105X68_ზე, რომელსაც გვერდითი ხაზებიდან შემოღობვამდე უნდა აშორებდეს 4/4 მეტრი და კარის ხაზებიდან შემოღობვამდე 6/6 მეტრი, მოედნის შიდა ფართი შეადგენს 7140 კვ.მ, ხოლო შემოღობვის შიგნით საერთო ფართი შეადგენს 8892 კვ.მ.

საფეხბურთო სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყოველდღიურად აღნიშნულ მოედანზე ივარჯიშებს რამოდენიმე ასაკობრივი გუნდი და აღნიშნულიდან გამომდინარე საფეხბურთო მოედნის საფარისათვის გათვალისწინებულია ხელოვნურსაფარიანი (60-მმ_იანი) მოედნი, დაგების ყველა სტანდარტის გათვალისწინებით.

ისევდა ისევ საფეხბურთო სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით რომ ამ მოედანზე ვარჯიშები წარიმართება არასასკოლო საათებში და განსაკუთრებით შემოგდომასა და ზამთრის თვეებში როდესაც ადრე ბინდდება, აუცილებელია საფეხბურთო აკადემიას გააჩნდეს განათების სისტემა, რადგან ევროპული სტანდარტებით დადგენილია რომ სკოლიდან მოსულმა მოსწავლემ ჯერ უნდა მოამზადოს სასკოლო გაკვეთილები და შემდეგ უნდა მოხდეს სავარჯიშო პროცესის გამართვა. მოზარდის განვითარებისათვის ეს კომპონენტი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან რათქმაუნდა მისასალმებელია მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა და მათი ჩაბმა ჯანსაღ ცხოვრებაში, მაგრამ არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს რომ პროფესიონალი ფეხბურთელად გახდომის პროცენტული მაჩვენებელი დაბალია და აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია განათების სისტემის დამონტაჟება, რადგან მოგვეცეს საშუალებას მოზარდებს სავარჯიშოდ ისეთი დრო დაეთმოთ, რომელიც ხელს არ შეუშლის მათ აკადემიურ განვითარებას.

ასევე გათვალისწინებულია გულშემატკივართა ტრიბუნა რომელიც გათვლილია 430 მყურებელზე და არის გადახურული. გადახურვაც გათვალისწინებულია ბავშვთა საწვრთნელი ბაზის სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან პატარ ასაკის ათეულობით მოსწავლეს უმეტესწილად ვარჯიშებზე მოიყვანენ მშობლები, რომლებიც ამინდის მიუხედავად დაესწრებიან თავიანთი შვილების ვარჯიშებს, რაც ასევე უმნიშვნელოვანესია პატარა ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიური განწყობისათვის. ასევე გულშემატკივართა ტრიბუნის ოდენობა სრულად საკმარისია აკადემიის მაღალი ასაკის გუნდების მატჩებზე დამსწრეთათვის.

სადრენაჟო სისტემა

სადრენაჟო სისტემა სრულად აკმაყოფილებს საფეხბურთო მოედნის მოთხოვნებს, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინფრასტრუქტურის სტანდარტები. მოედანის ტერიტორიაზე თავდაპირველად მოხდება არსებული რელიეფის მოსწორება ქვიშახრეშოვანი ნარევის შეტანით, მისი პლანირება და გრუნტის დატკეპნვა 95% სიმტკიცემდე, შემდეგ მიწის დამუშავება და 100-მმ პერფორირებული დაჩხვლეტილი მილის ქსელის მოწყობა 5 მეტრიანი დაშორებით (მილების და მოედნის დახრები მითითებულია ნახაზებზე) და 200-მმ პერფორირებული მილზე დაერთება და სადრენაჟო წყლების შემკრებ ჭაში ჩაშვება, საიდანაც ორივე ჭა შეუერთდება ერთმანეთსს და შემდეგ 250-მმ გოფრირებული მილით ჩაედინება არსებულ ღელეში.

სადრენაჟო სისტემის მომზადებულ არხებში ეფინება გეო-ტექსტილის საფენი და შემდეგ მოეწყობა პერფორირებული მილების ქსელი, შემდეგ მთლიანად შეივსება იამა ფრაქციული ღორღით (16-32) პერფორირებული მილი, რომელიც თავსდება სადრენაჟედ მომზადებულ არხებში მთილანად იმიტომ იფარება გეოტექსტილით, რომ არ მოხდეს წვრილად დაჩხვლეტილი მილის შევსება ფრაქციული ღორღის წვრილი ნარჩენებით და არ შეფერხდეს წყლის გამტარიანობა. აღნიშნული მილების შევსების შემდეგ , შეიფუთება გეო-ტექსტილის საფენით, რომლებიც დამაგრდება ერთმანეთთან და შემდეგ მიდის სადრენაჟო სისტემის ქვედა ფენის მოწყობა, ფრაქციული ღორღით (20-40) 15 სმ-ზე, შემდეგ შუა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით (16-32) 15 სმ-ზე და ბოლოს 5 სმ-ზე ფრაქციული ღორღი (0-8). თითოეული ფენა დაპროფილდება საპროექტო ნიშნულებზე და დაკატოკდება 5 ტონიანი ვიბრო სატკეპნვით. სადრენაჟო მილების ზომები არის სტანდართული, რომელსაც იყენებენ ხელოვნურსაფარიანი მოედნების მოწყობის პროცესში და რომელიც აკმაყოფილებს ფიფას-სტანდარტებს. არის შემთხვევები როდესაც თამაშის პროცესში, ძალიან ძლიერი წვიმის მოსვლის გამო სადრენაჟო სისტემები სრული დატვირთვით ვერ ატარებენ წყალს და იწყება მოედნის ზეწდაპირიზე წყლების დადგომა, ასეთ შემთხვევაში ფეხბურთის ფედერაციის სტანდარტით თუ მოედნის 30%_ზე მეტი დაიტბორება ისე რომ ბურთი ვერ შეძლებს მოედნის ზედაპირიდან სათანადოდ ასხლეტვას თამაშის არბიტრს და მატჩის დირექტორს შეუძლიათ გარკვეული დროის მანძილზე შეაჩერონ ან საერთოდ გადადონ თამაში. ამ ტიპის შემთხვევები უფრო მეტად ხშირია ზღვისპირა ქალაქებში, რაც უმაღლესი ლიგის თამაშებზეც დაფიქსირებულა. ასევე მატჩის დელეგატი თუ მიიჩნევს, რომ მცირე წვიმიანობის შემთხვევაშიც დადგა მოედანზე წყლები და შეუძლებელი გახდა თამაშის განხორციელება, სადრენაჟო სისტემების არაეფექტური მუშაობის გამო, მატჩის დირექტორს შეუძლია მოითხოვოს იმ ნახაზებზე და სადრენაჟო მილების ზომებზე გადახედვა რომლითაც მოწყობილია მოედანი და აღნიშნული სტანდარტზე დაბალის აღმოჩენის შემთხვევაში შეუძლია მასპინძელი გუნდის მიმართ დააფიქსიროს შენიშვნა, რაც უფრო ხშირად შეიძლება მოხდეს მხოლოდ უმაღლესი ლიგის თამაშებზე.

ხელოვნური საფარის დაგება

მოედანზე იგება 105 X 68 -ზე და ხაზებიდან დამატებით კიდევ 1.5 მეტრზე (სულ: 108 X 71-ზე, 7668 კვ.მ) ხელოვნური ბალახის საფარი - 60მმ (ფიფა-ს ორვარსკლავიანი სტანდარტი) (მასალა - მონოფილამენტი 100%; ხალიჩის სიმაღლე – 60 მმ; ბალახის ღეროს გამძლეობა – არანაკლებ 12000 დეტექსი; საფარის გაკერვის ზომა არანაკლებ – 5/8; ღეროს ჭრილის ზომა არანაკლები 310 მიკრონი) შესაბამისი სამონტაჟო მასალებით და აქსესუარებით, დაგება გეო-ტექსტილის საფენზე) ხელოვნური ბალახის დაგების შემდეგ, ხელოვნურ ბალახში 2 სმ
სიმაღლეზე იყრება 2 ჯერ გარეცხილი კვარცის ქვიშა 1-კვადრატზე 30 კგ და შემდეგ 2.5 სმ-ზე სპეციალური რეზინის შემავსებელი გრანული 1- კვადრატზე 9 კგ. აღნიშნული კვარცის ქვიშა და გრანულები მოედანზე შეტანილი იქნება სპეციალიზირებული ტექნიკით. ხელოვნურ საფარს 1 კვმ_ზე გააჩნია 25 ნაჩხვლეტი 15 სმ დაშორებით, რომლებიც ხელს უწყობენ წყლის გამტარიანობას. 1 კვ_ზე წყლის გამტარიანობა გათვლილია 1 სთ 40 ლიტრი. ასევე ხელოვნური საფარის ქვეშ დაგებულია გეოტექსტილის საფენი რომელის ფუნქციაა, ხელოვნური საფენის ქვედა ძირები დაიცვას ფრაქციული ღორღის უშუალო შეხებისგან, რადგან ხელოვნური ბალახის ფუნქციონირების დროს, მთავარი დატვირთვა მოდის მის ძირებზე და თუ ძირები პირდაპირ ეხება მე-3 ფენაზე მოწყობილ ფრაქციულ ღორღს, მისი გაგლეჯვის ალბათობა უფრო მეტია, გამომდინარე აქიდან გეო-ტექსტილის საფენი იცავს ხელოვნური საფენს და ასევე ის იცავს ხელოვნური საფენის იმ ნაჩხვლეტებს შევსებისაგან და ხელს უწყობს წყლის გამტარიანობაში.

60-მმ ხელოვნურსაფარიანი მოედნის ზომით (108 X 71) -ის შემდეგ შემოღობვამდე დაიგება დაბალი ხარისხის 20-მმ- იანი ხელოვნური ბალახი 1166 კვ.მ, რომელიც შეივსება 2 ჯერ გარეცხილი კვარცის ქვიშით 1-კვადრატზე 10 კგ

ბალახის დაგებასთან ერთად გათვალისწინებულია სპორტული აქსესუარების მოწყობა (ალიმინის კარები ბადეებით, კუთხურის ალმები კომპლექტით და სათადარიგო კარები)

ზედაპირული შემკრები არხი

ზედაპირული წყლების შემკრები არხი ეწყობა მოედნის ორ მხარეს, საითკენაც არის საფეხბურთო სკოლის შენობა ნაგებობა და გულშემატკივართა გადახურული ტრიბუნა, რაგდან მოხდეს შენობის და ტრიბუნის სახურავიდან მიღებული წყლის გაყვანა აღნიშნული ტერიტორიიდან .

მოედნის დანარჩენ ორ მხარეს არ ეწყობა ზედაპირული წყლების შემკრები არხი, რადგან ერთ მხარეს არის კერძო მესაკუთრის მიწის ფართი, რომელის არსებული დაქანება ისედაც მიმართულია ფერდობისკენ და ასევე საფეხბურთო მოედნის კარის უკანა მხარე არის ბუნებრივი ფერდობი და ისედაც ჩაედინება წყალი ფერდობის ქვევით არსებულ ღელეში. ასევე ზედაპირული წყლების შემკრები არხებით გამოყვანილი და სადრენაჟო სისტემის წყლები შეიკრბება ჭაში და 250 გოფრირებული 95 მეტრიანი მილით ჩაედინება ფერდობის ქვევით არსებულ ღელეში.

ზედაპირული წყლების შემკრები არხის ზედაპირი გასწორებული იქნება შემოღობვის -10 სმზე და გულშემატკივართა ტრიბუნის მხარეს მისი იატაკის დონე იქნება ცვალებადი და იქნება დაქანებული, რომელიც საკმარისია წყლის გასაყვანად.

შემოღობვა

მოედნის ირგვლივ ღობის საძირკვლისა და ზეძირკვლისათვის მოეწყობა მონოლითური რკინა ბეტონი, რომელიც თავიდან შეივსება ქვიშა ხრეშოვანი მასალით, შემდეგ მოეწყობა სადრენაჟო სისტემები და ბოლოს შეივსება სხვადასხვა ფრაქციული ღორღით.

შემოღობვა მოხდება ლითონის კვადრატული მილებით (80X80X30-მმ), რომელზეც მოეწყობა pvc-ბადე ზომით (45X45X4-მმ). ბადეები დაიჭიმება 4-მმ-იანი ბაგირით, რომელიც დამაგრდება ლითონის დამჭიმით. მოედნის იმ მხარეს საიდანაც ესაზღვრება კერძო მესაკუთრე ღობე 2 მეტრის სიმაღლეზე იქნება ლითონის კონსტრუქცია და შემდეგ 4 მეტრი pvc-ბადე და მეორე მხარეს საიდანაც ესაზღვრება გულშემატკივართა ტრიბუნა, ღობის სიმაღლე იქნება 6 მეტრი მთლიანად pvc-ბადე. რაც შეეხება კარის ხაზს უკანა მხარეს, მთლიანად იქნება pvc-ბადე რომლის სიმაღლე იქნება 6 მეტრი, ხოლო უშუალოდ კარს უკან 38 მეტი მანძილზე 9 მეტრი სიმაღლის ღობე. შემოღობვა აქვს ორი პატარა და 1 დიდი კარი. დიდი კარი გამოიყენება სპეც ტექნიკის შესაყვანად, რომელიც ინტენსიურად მოაწესრიგებს (დაფარცხავს) ხელოვნურსაფარიან მოედანს.

საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 3 ლითონის ღობის მოწყობა, რომელსაც ექნება გამსვლელი კარები. აღნიშნული შემოღობვის N-8-1 და N-8-2-ის ფუნქციაა თამაშების დროს ჩაკეტვა და მოედნის შიდა ტერიტორიაზე გულშემატკივრების და გარეშე პირების არ შეშვება, N-8-3 კარის ფუნქციაა უსაფრთხოების ნორმების დაცვა და იმ ტერიტორიაზე ფეხბურთელების არ შეშვება სადაც განთავსებულია საქვაბე და ელექტრო გენერატორი.

სათადარიგოთა დასაჯდომი

მოედანზე ეწყობა სატადარიგო ფეხბურთელთა დასაჯდომი და მსაჯის დასაჯდომი, რომელიც განთავსებულია მოედნის ცენტრში, საიდანაც გამოდიან ფეხბურთელები. მსაჯის დასაჯდომი გათვლილია 3 ადამიანზე და სათადარიგო ფეხბურთელთა და მწვრთნელთა შტაბისათვის გათვალისწინებულია15X15 ადგილი.

გულშემატკივართა ტრიბუნა

 გულშემატკივართა ტრიბუნა გათვალისწინებულია 430 მაყურებელზე. ტრიბუნა აგებულია ლითონის კვადრატული მილებისაგან, რომელიც არის 3 იარუსიანი. ტრიბუნა არის გადახურული პროფნასტილით. ტრიბუნის წინა ბოძებად გამოყენებულ იქნება მოედნის შემოღობვა, რომელზეც დაერთდება გადახურვა.